# კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიში

# CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY REPORT

**2025**



RMG
RICH METALS GROUP

# 50

# 1975-2025











## 1975

სპილენძისა და ოქროს შემცველი მადნების გადამუშავების მიზნით ექსპლუატაციაში გაეშვა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი. დაიწყო სპილენძის კონცენტრატის წარმოება.

## 1994-1997

ფუნქციონირება დაიწყო საქართველო-ავსტრალიის ერთობლივმა საწარმომ, რომელიც გროვული გამოტუტვის მეთოდით ამუშავებდა ოქროს შემცველ მადნებს. ჩამოისხა პირველი დორე შენადნობი.

## 2011-2012

რეგიონში საქმიანობა დაიწყო „რიჩ მეტალს გრუპმა“ (არემჯი). აქტივების შესაძენად, წარმოების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად და კომპანიის შემდგომი განვითარებისათვის არემჯიმ 350 000 000 $ ინვესტიცია განახორციელა, შეიქმნა და ჩამოყალიბდა თანამედროვე ლაბორატორიებით აღჭურვილი გეოლოგიური ბაზა.





## 2018-2021

არემჯის გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 100-მდე შემარბილებელი ღონისძიება, რომელთა უმეტესი ნაწილი წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული. გარემოსდაცვითი პროგრამის შესრულებაზე განხორციელებულმა ინვესტიციამ 30 000 000 ლარზე მეტი შეადგინა.

## 2019

ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ექსპლუატაციაში შევიდა პირველი საერთაშორისო სტანდარტების მქონე მიწისქვეშა ტიპის ბექთაქარის მაღარო. დაიწყო ოქრო-პოლიმეტალური მადნების გადამუშავება თანამედროვე დანადგარების გამოყენებით.

## 2022

განხორციელდა გამამდიდრებელი ფაბრიკის მასშტაბური გადაიარაღება და ექსპლუატაციაში შევიდა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ახალი საწარმოო უბნები.



## გენერალური დირექტორის მისალმება

ძვირფასო მკითხველებო,

უკვე მე-4 წელია, რაც ჩვენი გუნდის მუშაობის შედეგად წლიდან წლამდე მიღწეული პოზიტიური შედეგები კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშში იყრის თავს. თუმცა წელს არ იქნება მხოლოდ ერთი წლის შეჯამება.

წელს ვიზეიმეთ განსაკუთრებული თარიღი – კაზრეთის სამთო-გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციაში გაშვების 50 წლის იუბილე. განვლილი ნახევარი საუკუნე შრომის, სიმტკიცის, პროფესიონალიზმისა და ერთგულების ნათელი მაგალითია, რამაც ეს წარმოება დღევანდელ დღემდე მოიყვანა.

ეს მნიშვნელოვანი თარიღია იმ ადამიანებისთვის, რომელთა შრომისა და ძალისხმევის შედეგად ჩამოყალიბდა და განვითარდა კაზრეთის წარმოება. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი ფერადი ლითონების გადამუშავებას საქართველოში, რისთვისაც გულწრფელ მადლობას ვუხდით. იუბილე არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ ახალგაზრდებისთვისაც, რომლებიც ენთუზიაზმით, ახალი ხედვებითა და საერთაშორისო გამოცდილებით ჩვენი კომპანიის მნიშვნელოვან ბირთვს წარმოადგენენ. სწორედ ეს ენერგია და ცოდნა გვაძლევს საშუალებას, დავნერგოთ ახალი ტექნოლოგიები, გადავაიარაღოთ წარმოება და შევითვისოთ ახალი მიდგომები, რაც დღევანდელ მაღალტექნოლოგიურ გარემოში განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ამასთან, ჩვენი გუნდის მდგრადი მომავლის ხედვა შესაძლებლობას გვაძლევს, უფრო გაბედულად შევხვდეთ გამოწვევებს და დავისახოთ ახალი მიზნები.

2025 წელს გარემოს დაცვის კუთხით განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ტყის აღდგენა-გაშენების საკომპენსაციო აქტივობებსა და რეკულტივაციის პროექტებზე, რომლებიც ახალ სიცოცხლეს სძენს სანაყაროებს. საწარმოო ნარჩენების კომპლექსური მართვის გარდა, ვმუშაობთ ჩვენი თანამშრომლების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე.

ჩვენს პარტნიორებთან – უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო ინსტიტუტებთან ერთად მივუყვებით განვითარების გზას და მუდმივად ვიმატებთ ახალ თანამოაზრეებს. ამ თანამშრომლობით არაერთ წარმატებულ პროექტს ჩავუყარეთ საფუძველი და მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ პროექტში მონაწილე ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებაში.

მოხარული ვარ, რომ მეექვსე წელია აღვნიშნავთ პროფესიულ დღესასწაულს – სამთოელის დღეს. ამ დღის აღნიშვნა ჩვენი თანამშრომლების დაფასებას ემსახურება, რადგან ჩვენთვის მთავარი ღირებულება ადამიანია – ადამიანები, რომლებიც ყოველდღიური შრომით ქმნიან კომპანიის წარმატებას და ემსახურებიან სამთო საქმეს.

მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ თანამშრომელს – ვეტერანსა თუ ახალგაზრდას, ვინც ამ გზის ნაწილი იყო, არის და იქნება 2026 წელს და მომავალშიც.

პატივისცემით,

ჯონი შუბითიძე

## General Director's Greeting

Dear Readers,

For the fourth consecutive year, our Corporate Social Responsibility Report brings together the positive yearly outcomes achieved by our team through their dedicated work. This year, however, will serve as more than a summary of a single year.

In 2025, we celebrated an important date – the 50th anniversary of the commissioning of the Kazreti Mining and Enrichment Plant. The past half century stands as a powerful testament to hard work, perseverance, professionalism, and dedication – values that have shaped the enterprise and brought it to where it is today.

This anniversary is special to all those, whose tireless efforts contributed to the establishment and development of the Kazreti mining industry. These people laid the foundation for non-ferrous metal processing in Georgia, and we extend our sincere gratitude to them. At the same time, this date is equally important for the young professionals who with their enthusiasm, fresh perspectives, and international experience, now form a vital part of our company. Their energy and expertise enable us to implement new technologies, modernize enterprise, and adopt innovative approaches - key prerequisites for development in today's high-tech environment. Moreover, our team's vision of sustainable future enables us to face challenges with more confidence and set new goals.

In 2025, with regard to environmental protection, we placed special emphasis on compensatory forest restoration-reforestation activities and reclamation projects, which breathe new life into waste rock dumps. In addition to the comprehensive and renewed approaches to waste management, we work on raising environmental awareness among employees.

Together with our partners – higher education institutions and scientific research institutes we have been developing over the years. Through these collaborations, we have launched several successful initiatives and significantly contributed to the professional growth of young people involved in these projects.

I am pleased that for the sixth year we are celebrating Miner's Day. This professional holiday serves as a tribute to our employees, as they are our greatest value – their daily efforts drive the company's success and uphold the mining industry.

I would like to extend my heartfelt thanks to every employee – both veterans and young professionals, who have been, are and will continue to be part of this journey in 2026 and beyond.

Sincerely,

Joni Shubitidze

WE SUPPORT UN GLOBAL COMPACT

# 1975-2025









## 1975

The Madneuli Mining and Enrichment Plant was commissioned to process copper- and gold-bearing ores. Production of copper concentrate began.

## 1994-1997

A Georgian-Australian joint venture commenced operations, processing gold-bearing ores using the heap leaching method. The first dore alloy was produced.



## 2011-2012

Rich Metals Group (RMG) began operating in the region. To acquire assets, ensure production continuity, and support the company's further development, RMG invested $350,000,000. A geological base, equipped with modern laboratories, was designed and operationalized.

## 2018-2021

Within the framework of RMG's environmental program, approximately 100 mitigation measures were implemented, most of which were aimed at improving water, air, and soil quality. Investments made for the implementation of the environmental program exceeded 30,000,000 GEL.





## 2019

In Kvemo Kartli, Bolnisi Municipality, the first underground mine of international standards – Bektakari was commissioned. Gold-polymetallic ore processing began using modern equipment.

## 2022

A large-scale modernization of the enrichment plant was carried out, and new production units equipped with modern technologies were commissioned.

## კორპორაციული დირექტორის მისალმება

მდგრადობა უკვე რამდენიმე წელია არემჯის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიდგომად ჩამოყალიბდა. ამ მიმართულების მიზნების მიღწევაში ბოლო წლებში აქტიურადაა ჩართული კომპანიის ხელმძღვანელი რგოლის თითოეული წევრი.

გასულ წელს კორპორაციული მდგრადობის დოკუმენტის შემუშავებით კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ ჩვენი საქმიანობის გრძელვადიან განვითარებას, სტაბილურობასა და ეკონომიკურ წინსვლას მხოლოდ ეთიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და კულტურული ასპექტების გათვალისწინებით ვხედავთ.

დღეისათვის, კომპანია ყოველდღიურ საქმიანობაში მაქსიმალურად ითვალისწინებს მდგრადი განვითარების პრინციპებს და შემუშავებული აქვს ქმედითი მექანიზმები ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებების, გარემოს დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტები კი თანხვედრაშია გაეროს მდგრადი განვითარების იმ მიზნებთან, რომლებიც 2022 წელს, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელში გაწევრიანებისას გამოვკვეთეთ.

საიუბილეო წელს შევიმუშავეთ ორი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც ასახავს ჩვენს მიდგომას კულტურული ღირებულებებისა და თანამშრომლებზე ზრუნვის კუთხით.

ჩვენი დიდი სურვილი იყო სამთოელის სადღესასწაულო კოსტიუმის შექმნა. ამ სამოსის ტარებას ევროპის პროფესიულ და სამეცნიერო წრეებში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. სამოსს სიამაყით ატარებდნენ 1950-60-იან წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის პროფესორები და სტუდენტებიც. სწორედ ამ მივიწყებული მემკვიდრეობის გასაცოცხლებლად კომპანიის მხარდაჭერით შეიქმნა სამთოელის სადღესასწაულო კოსტიუმი, რომელიც სამთოელის დღეზე პროფესიულ საზოგადოებას წარვუდგინეთ.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ინიციატივის ფარგლებში 50 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად დაბა კაზრეთში დაიდგმება მონუმენტი, რომელიც სამთო საქმეში ჩართული ადამიანების სიმბოლური დაფასება იქნება.

ვფიქრობ, რომ მდგრადი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების საშუალებით თანამშრომლებთან, პარტნიორებთან, ადგილობრივ თემთან და დაინტერესებულ მხარეებთან ჩამოვაყალიბეთ გრძელვადიანი, თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები, რაც მომავალში ხელს შეუწყობს კომპანიის შიგნით მდგრადობის განმტკიცებას და საზოგადოების მეტ ნდობას მოგვიტანს.

პატივისცემით,
კახაბერ მჭედლიშვილი




## Corporate Director's Greeting

Sustainability has been one of RMG's key strategic priorities for the past several years. In recent years, every member of the company's management team has been actively engaged in advancing the objectives of this direction.

By developing a Corporate Sustainability Document last year, we once again reaffirmed our commitment that long-term development, stability, and economic growth of our business can only be achieved by integrating ethical, social, environmental, and cultural considerations into our operations.

Today, RMG incorporates the principles of sustainable development into its day-to-day activities to the greatest extent possible. The company has established effective mechanisms for the protection of human and labor rights, environmental protection, and anti-corruption practices. Moreover, the corporate social responsibility initiatives implemented by RMG are aligned with the UN Sustainable Development Goals, which we have prioritized upon joining the UN Global Compact Network Georgia in 2022.

During this anniversary year, we developed two significant initiatives that reflect our commitment to cultural heritage and employee care.

One of our biggest wishes was to create a ceremonial Miner's Costume. Wearing such attire has a deep-rooted tradition in professional and academic circles across Europe. In the 1950s and 1960s, professors and students of the Mining Faculty of the Georgian Polytechnic University also wore this costume with pride. With the support of RMG, this forgotten heritage was revived, and the ceremonial miner's costume was officially presented to the professional community on Miner's Day.

As part of a second, equally important initiative, a commemorative monument will be unveiled in Kazreti district to mark the 50th anniversary of the enterprise. This monument will serve as a symbolic tribute to people engaged in the mining industry.

I firmly believe that through consistent and sustainable corporate social responsibility programs, we have built long-term relationships based on equality and mutual respect, with our employees, partners, local communities, and other stakeholders. Looking ahead, these relationships will strengthen sustainability within the organization and enhance public trust towards the company.

Sincerely,
Kakhaber Mtchedlishvili

# მეღვინეობის მხარდაჭერა



## WINEMAKING SUPPORT

ვამაყობ, რომ იმ გაერთიანების წევრი ვარ, რომელიც წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად ვითარდება და ზრუნავს ბოლნისის ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კომპანია არემჯის ჩართულობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს არა მხოლოდ გაერთიანების წინსვლაში, არამედ წევრი მეღვინეების ინდივიდუალურ ზრდასა და განვითარებაშიც.

სწორედ ამ პარტნიორობის ფარგლებში შევძელი გამევლო ღვინის სფეროსთან დაკავშირებული კურსები და მიმეღო ამ მიმართულების პროფესიული განათლება. სწავლა 2024 წელს დავიწყე და ეტაპობრივად გავხდი ჯერ სერტიფიცირებული მევენახე-მეღვინეობის კონსულტანტი, შემდგეგ კი – სომელიე.

ეს წელი ჩემთვის ძალიან განსხვავებული, სასარგებლო და საპასუხისმგებლო იყო: პირველად მივიღე გამოცდილება სომელიეს როლში ბოლნისის დად ღვინის კონკურსზე და ასურეთის ღვინის ფესტივალზე. სწავლას არ ვწყვეტ და ვცდილობ, კიდევ უფრო მაღალი ტემპით გავაგრძელო საკუთარ თავზე მუშაობა, მეტი საერთო სარგებლისთვის.

მირიან ურუმაშვილი
გაერთიანება „ღვინო ბოლნისის“ წევრი,
მეღვინეობა „მურუმული“

ბოლნისის ღვინის გზამკვლევში რეგიონის მეღვინეობის მდიდარი ისტორიაა თავმოყრილი








ბოლნისური მეღვინეობის მხარდაჭერა არემჯის ძირითადი პროექტია, რომელსაც 2018 წლიდან მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს.

2025 წელს ბოლნისური ღვინოების ფართო ასპარეზზე წარმოჩენით რეგიონის ცნობადობა კიდევ უფრო გაიზარდა. არემჯის მხარდაჭერით გამოიცა **„ბოლნისის ღვინის გზამკვლევი“**, რომელიც გვაცნობს ბოლნისის რეგიონის მეღვინეობის ისტორიას, უნიკალურ ყურძნის ჯიშებსა და საოჯახო მარნებს. გზამკვლევი ბოლნისის მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციებთან ერთად, რეგიონის კულტურულ მემკვიდრეობასა და ტრადიციებსაც წარმოაჩენს და ღვინის მოყვარულთათვის მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო რესურსია.

RMG’s support of Bolnisi winemakers is a key project within company’s corporate social responsibility efforts, which shows significant progress.

In 2025 Bolnisi wines further raised the profile of this emerging wine region. As part of RMG’s continuous commitment, the **Bolnisi Wine Guide** was launched this year, highlighting the region’s winemaking history, unique grape varieties, and family wineries. The guide not only celebrates Bolnisi's viticultural traditions, but also the cultural heritage and traditions of the region, and serves as a valuable guiding resource for wine enthusiasts.









წელს გაიმართა **ბოლნისის ადგილწარმოშობის ღვინის** რიგით მესამე **ფესტივალი,** რომელშიც 60-მდე მეღვინეობა მონაწილეობდა. ფესტივალს წინ უძღოდა ადგილწარმოშობის დასახელების (PDO) ღვინის კონკურსი, რომელზეც ბოლნისურმა მეღვინეობებმა 6 ოქროს, 6 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ღონისძიების მთავარი ჯილდო იყო მსოფლიოში ცნობილ Merano WineFestival-ზე მონაწილეობის სრული დაფინანსება. ჯილდო უმაღლესი ქულის მქონე 11 ღვინოს გადაეცა. ბოლნისის ადგილწარმოშობის ღვინის ფესტივალმა განსაკუთრებულად წარმოაჩინა PDO ღვინოების ხარისხი და მრავალფეროვნება.

The year was also marked by the third **Bolnisi PDO Wine Festival**, with around 60 wineries participating from all over Georgia. The festival celebrated the quality and diversity of PDO wines, with PDO Wine Contest preceding the event. Bolnisi wineries earned 6 Gold, 6 Silver, and 9 Bronze medals in total. This year’s award of the event was the fully-funded participation in the world famous Merano WineFestival, where 11 highest-scoring wines were awarded.






ბოლნისის ღვინის ფესტივალზე საქართველოს სხვადასხვა კუთხის დად ღვინოებია წარმოდგენილი



# 2025 წელს „ღვინო ბოლნისმა“ სამ საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა











ადგილობრივი ინიციატივების გარდა, კომპანიის მხარდაჭერით, წელს ბოლნისური მეღვინეობები წარდგნენ ისეთ **საერთაშორისო ღონისძიებებზე**, როგორიცაა: მერანოს ღვინის ფესტივალი იტალიაში, ქარვისფერი ღვინის ფესტივალი ავსტრიაში და ბრიტანული IWSC.

**მერანოს ღვინის ფესტივალზე** ბოლნისის ღვინოები მსოფლიოს საუკეთესო ღვინოებთან ერთად იყო წარმოდგენილი და აღიარებაც მოიპოვეს – კონკურსზე 7 ჯილდო დაიმსახურეს: 2 ოქროსა და 5 ვერცხლის მედალი.

ბოლნისის ღვინოების მონაწილეობა ვენაში გამართულ **ქარვისფერი ღვინის ფესტივალზე** ასევე წარმატებული აღმოჩნდა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 8 ბოლნისური მეღვინეობის 19 ღვინო; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კანთან კონტაქტის მეთოდით დაყენებულ ბუნებრივ ქარვისფერ ღვინოებს. ფესტივალს ესწრებოდნენ ღვინის ექსპერტები და ენთუზიასტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, რამაც ბოლნისელ მეღვინეებს შესაძლებლობა მისცა, დაემყარებინათ

In addition to local efforts, RMG played a key role in showcasing Bolnisi wines at **international events** such as the above-mentioned Merano WineFestival in Italy, the Orange Wine Festival in Vienna, Austria, and the British IWSC, held in Georgia.

At the **Merano WineFestival**, Bolnisi wines were presented alongside some of the finest wines from around the world. Bolnisi wines earned recognition in competition, earning a total of 7 awards, including 2 Gold and 5 Silver.

Similarly, Bolnisi Wines at the **Orange Wine Festival** in Vienna proved to be another success. This year, a selection of 19 wines from 8 Bolnisi wineries was presented at the festival, where natural amber wines produced through skin-contact winemaking were featured.

The festival attracted wine experts and enthusiasts from across Europe, giving Bolnisi winemakers the chance to engage with international buyers and in-















კონტაქტები საერთაშორისო მყიდველებთან და გაეზარდათ საკუთარი ცნობადობა ევროპულ ბაზარზე.

კომპანიის მხარდაჭერით გაერთიანება „ღვინო ბოლნისის“ 9 წევრი მარანი წარდგა **ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო კონკურს IWSC-ზეც**.

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ბრიტანულ კონკურსს საქართველომ წელს მეოთხედ უმასპინძლა და გამორჩეული იყო ბოლნისელი მეღვინეებისთვისაც – საერთაშორისო კონკურსზე ყველა მარანმა მოიპოვა ჯილდო, მათ შორის, 5 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი.

crease their visibility in the European market.

With RMG's support 9 member wineries of the Wine Bolnisi Association also participated in the **International Wine and Spirits Competition IWSC**. This year, Georgia hosted the influential British competition for the fourth time, and the contest was also notable for Bolnisi winemakers – all wineries won awards at the international competition, including 5 silver and 4 bronze medals.









# სპორტის მხარდაჭერა

## SPORT SUPPORT




2025 წელი ჩემთვის განსაკუთრებით წარმატებული იყო – როგორც სპორტული მიღწევების, ისე პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. წელს ჩემს ისტორიას საქართველოში მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ხოლო საერთაშორისო ასპარეზობებიდან – ოქროს და ბრინჯაოს მედლები შეემატა.

ამ წარმატების უკან დგას მუდმივი შრომა, თავდადება და ძლიერი მხარდაჭერა, რომელსაც არემჯისგან ვიღებ. მათი პარტნიორობა მაძლევს სტაბილურობასა და საჭირო რესურსს, რომ უმაღლეს დონეზე შევინარჩუნო კონკურენტუნარიანობა და საერთაშორისო ასპარეზზე მუდმივად მაღალი შედეგები ვაჩვენო.

სანდრო ბაზაძე
მოფარიკავე

## 2025 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲑᲐᲖᲐᲫᲔ ᲮᲛᲚᲘᲗ ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ





მე-4 წელია არემჯი **ხმლით მოფარიკავე სანდრო ბაზაძის** ოფიციალური სპონსორია. 2025 წელს სანდრო ბაზაძის მოგებული ჯილდოების ჩამონათვალში შედის ოქროს მედალი მადრიდის მსოფლიო თასიდან Villa De Madrid, ოქროს მედალი სეულის გრან-პრიდან და ბრინჯაოს მედლები პლოვდივისა და ბუდაპეშტის მსოფლიო თასებიდან. 32 წლის მოფარიკავემ 2025 წელს თბილისში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ფინალში ბაზაძემ ფრანგი მეტოქე ჟან-ფილიპ პატრისი 15:9 დაამარცხა. ფარიკაობის მსოფლიო ჩემპიონატი – #თბილისი2025 არემჯის მხარდაჭერით 20-30 ივლისს ჩატარდა. მასში 115 ქვეყნის 985 სპორტსმენი მონაწილეობდა.

For the fourth year, RMG has been the official sponsor of **sabre fencer Sandro Bazadze**. In 2025, the list of competitions won by Sandro Bazadze includes a gold medal from the Madrid World Cup (Villa de Madrid), gold medal from Seoul Grand-Prix, and bronze medals from the World Cups of Plovdiv and Budapest. This year, the fencer also claimed the title of World Fencing Champion, defeating his opponent, French Jean-Philippe Patrice 15:9 in the final. The World Fencing Championship – #Tbilisi2025 – was held on 20-30 July with RMG’s support. Over ten days, 985 athletes from 115 countries took part in the competition.





ჩოგბურთში არემჯი **საქართველოს პირველი ჩოგანის, საბა ფურცელაძის** მხარდამჭერია. საბამ 2025 წელი შარმ-ელ-შეიხში (ეგვიპტე) ITF 15 ტურნირში გამარჯვებით დაიწყო და წლის განმავლობაში ამ კატეგორიის კიდევ 4 ტურნირი მოიგო. სპორტსმენმა 2025 წელს Challenger-ის პირველი ტიტული მოიპოვა. ასევე პირველად იასპარეზა უიმბლდონის საკვალიფიკაციო ეტაპზე და ATP-ის რეიტინგში კარიერულ მაქსიმუმს – 237-ე პოზიციას მიაღწია. წლის ბოლოს საბა ფურცელაძემ თანამშრომლობა დაიწყო მარიუს კოპილთან, რომელიც ATP-ის რეიტინგში ტოპ-60-ის ყოფილი მოთამაშეა და 2026 წელს ფურცელაძის მთავარი მწვრთნელი იქნება.

RMG supports **Georgia's number one tennis player, Saba Purtseladze**. Saba started the year with a victory at the ITF 15 tournament in Sharm El-Sheikh (Egypt) and won a total of five medals at various competitions throughout the year. In 2025, the athlete also claimed the first Challenger title; he first participated in the Wimbledon Qualifying Competition and achieved the best result of his career, reaching No. 237 in the ATP rankings. At the end of the year Saba Purtseladze started collaboration with Marius Copil, the former player within ATP’s Top 60, who will be the head coach for Purtseladze during 2026.



## ᲡᲐᲑᲐ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ ATP ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲚᲡ 237-Ე ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲗ ᲮᲣᲠᲐᲕᲡ








არემჯი **საფეხბურთო კლუბ „ბოლნისის სიონის“** სპონსორია 2016 წლიდან. კლუბი ასპარეზობას მეორე ლიგაში ახალ მწვრთნელთან ერთად აგრძელებს და მიმდინარე წელს ახალგაზრდა სპორტსმენების დამატებაზე მუშაობს. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს კლუბში ჩამოყალიბდა ბავშვთა ფეხბურთის მიმართულება და გაიხსნა ბავშვთა აკადემია, რომელიც შესაბამისი ასაკის გოგონებსა და ბიჭებს აერთიანებს.

RMG supports **Bolnisi Football Club Sioni** since 2016. The club continues to play in the second league under the leadership of a new head coach and currently focuses on attracting new talents. Positive progress has been made in the development of children’s football – a football academy has been opened in 2025. Children’s academy brings together girls and boys of relevant age in pursuit of sports game.









**ბოლნისის სარაგბო კლუბ „ყოჩებში“**, რომელსაც არემჯი 2019 წლიდან უჭერს მხარს, მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი საკლუბო ცვლილებები გატარდა და „ყოჩებმა“ წელი პირველ ლიგაში ასპარეზობით დახურა. აღსანიშნავია, რომ ამავე წელს განხორციელდა კლუბის ინფრასტრუქტურული ცვლილება და სრულად გაიმართა რაგბის ახალი სტადიონი.

2025 წელი გამორჩეული იყო პატარა „ყოჩებისთვის“. ბავშვთა კლუბში მოთამაშეთა საერთო რაოდენობა დაახლოებით ორჯერ გაიზარდა. 12-წლამდელთა გუნდმა ტრადიციულად მონაწილეობა მიიღო მონაკოში გამართულ საბავშვო ფესტივალში. 4 ამხანაგური მატჩიდან მათ ორში გაიმარჯვეს. სხვადასხვა ასაკის საფესტივალო გუნდები კი წარმატებულად აგრძელებენ ასპარეზობას A და B ლიგებში.

RMG continues to be the general sponsor of **Bolnisi Rugby Club Kochebi**, which underwent significant changes in 2025 and completed the year in the first league. The club made progress in infrastructure, as the new rugby stadium launched fully operational.

2025 was a milestone for Little Kochebi, where the number of young players nearly doubled. The U20 team traditionally participated in the youth festival held in Monaco. Little Kochebi achieved two victories out of four friendly matches. Festival teams of various ages continue to compete successfully in Leagues A and B.



# განათლების მხარდაჭერა



## EDUCATION SUPPORT

ერთთვიანი პრაქტიკა იყო შესაძლებლობა, ჩემს პროფესიას რეალურ გარემოში შევხებოდი და უკეთ გამეგო მისი მნიშვნელობა.

გარდა ამისა, პროექტში მონაწილეობით მეტად განმივითარდა პასუხისმგებლობის გრძნობა, დავინახე  გუნდური მუშაობის მნიშვნელობა და ის, თუ რამდენად საჭიროა შემოქმედებითი მიდგომა ნებისმიერ საქმეში.

**ანა ზურაბიშვილი**
საზაფხულო სკოლის მონაწილე

## ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ 200-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲡ










არემჯი აგრძელებს საქართველოს სამთო და გეოლოგიური მიმართულებების მხარდაჭერას და ახორციელებს ინვესტიციას ახალგაზრდა პროფესიონალების ჩამოყალიბებაში. 2025 წელს კომპანიამ სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის პრაქტიკული სწავლებები, ფინანსური მხარდაჭერა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობები უზრუნველყო.

არემჯის **სასტიპენდიო პროგრამა** სამთო და გეოლოგიის დარგის სტუდენტებისთვის შემუშავებული პროექტია, რომელიც სამთო, გეოლოგიის, ენერგეტიკისა და მექანიკური ინჟინერიის მიმართულებების სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერას ითვალისწინებს. 2025 წელს პროგრამამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) სტუდენტები მოიცვა. სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში არემჯი ახალგაზრდებისთვის დასაქმების შესაძლებლობასაც ქმნის: წინა წლების სტიპენდიატების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე მუშაობს კომპანიაში.

არემჯის **საზაფხულო სკოლის პროგრამამ**, რომელიც აკადემიურ სწავლებას პრაქტიკული გამოცდილებით ამდიდრებს, 2025 წელს სტუდენტების მეშვიდე ნაკადს უმასპინძლა. პროგრამაში წელს სტუ-ის და თსუ-ის 15 სტუდენტი იყო ჩართული.

RMG continues its commitment to quality education support, especially for shaping the future of Georgia's mining and geological industries by investing in the development of young professionals. In 2025, the company’s educational initiatives offered hands-on learning, financial support, and international exposure to students and young scientists.

The RMG’s **Scholarship Program** supports the most promising students in mining and geology field. This year the program involved students from Tbilisi State University (TSU) and the Georgian Technical University (GTU) from the fields of mining, geology, energy, and mechanical engineering and provided financial support for their studies. The program also paves the way for future employment opportunities at RMG, with a significant number of past scholarship holders already employed by the company.

The RMG’s **Summer School** hosted its seventh cohort of students, offering a one-month paid internship at RMG’s mining enterprise in Kazreti. The program, which combines academic learning with practical, on-the-ground experience, was expanded this year and included 15 students from both GTU and TSU.












მათ ერთთვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარეს კომპანიის საწარმოში, კაზრეთში. საზაფხულო სკოლის მონაწილეები პროგრამის ფარგლებში არემჯის გამოცდილი პროფესიონალების მენტორობით ეცნობიან სამთო ტექნოლოგიებს, გეოტექნიკურ ანალიზსა და მინერალების გადამუშავების ტექნიკებს.

2025 წელს კომპანიამ შეიმუშავა ახალი – **ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერის პროგრამა**, რომელიც სამთო და გეოლოგიის სფეროებში სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. პროგრამა ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ახალგაზრდა მკვლევრებს, რათა მათ შეძლონ საქმიანობის გაგრძელება უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში. პროგრამის პირველ ნაკადში დაჯილდოვდა 15 ახალგაზრდა მეცნიერი, რომლებიც მუშაობენ ისეთ დაწესებულებებთან, როგორიცაა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გეოლოგიის, გეოფიზიკის და სამთო ინსტიტუტები, საინჟინრო გეოლოგიისა და ჰიდროგეოლოგიის ინსტიტუტი, აგრეთვე, მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი.

არემჯიმ სტუ-ის სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტზე **ვირტუალური მოდელირებისა და სიმულაციის ლაბორატორია** გახსნა. ეს სივრცე საშუალებას იძლევა, უახლესი ვირტუალური რეალობის (VR) ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელდეს სამთო პროცესების სიმულაციები: სტუდენტები ვირტუალურად სწავლობენ საქართველოში არსებულ სამთო ობიექტებსა და გეოლოგიურ ფორმაციებს და ადგილზე ჩასვლის საჭიროების გარეშე იღებენ რეალისტურ გამოცდილებას.

Participants in the Summer School gain exposure to mining technologies, geotechnical analysis, and mineral processing techniques under the mentorship of RMG's expert professionals.

First time ever RMG’s **Young Scientists Support Program** was launched in 2025, aimed at fostering scientific research and innovation in the fields of mining and geology. This program provides financial backing to young researchers, helping them pursue their work in universities and scientific institutes. The first cohort of the program awarded 15 young scientists, who work at the leading institutions like GTU and different institutes within the country, such are Institutes of Geology, Geophysics, and Mining, as well as Engineering Geology and Hydrogeology Institute and Caucasus Institute of Mineral Resources.

In partnership with the GTU, RMG has launched a **Virtual Modeling and Simulation Laboratory** at the Faculty of Mining and Geology at the GTU. This facility allows students to conduct sophisticated simulations of mining processes using state-of-the-art virtual reality (VR) technology. By exploring actual mining sites and geological formations across Georgia virtually, students can immerse in realistic environments without the need for extensive travel to sites during studies.

## 2025 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲠᲔᲛᲯᲘᲡ ᲡᲢᲘᲞᲔᲜᲓᲘᲐ 20-ᲛᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ 15 ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲩᲐᲔᲠᲗᲝ





# არემჯის საგანმანათლებლო პროგრამებს წელს ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამაც შეემატა







კომპანია აძლიერებს არსებულ **საერთაშორისო კავშირებს ავსტრიის ლეობენის სამთო უნივერსიტეტთან**. არემჯისა და ლეობენის უნივერსიტეტს შორის პარტნიორობა, რომელიც 2019 წელს დაიწყო, 2025 წელს კიდევ უფრო განვითარდა და ხელი მოეწერა ახალ მემორანდუმს საქართველოში არემჯის პარტნიორ უნივერსიტეტსა (სტუ) და ავსტრიის აღნიშნულ უნივერსიტეტს შორის.

2025 წელს არემჯისა და სტუ-ის წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით ეწვივნენ ლეობენის უნივერსიტეტს, სადაც მომავალი საგანმანათლებლო და კვლევითი თანამშრომლობის მიმართულებები განიხილეს. ახალი პარტნიორობის შედეგად, ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ ავსტრიის მიერ სრულად დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებში და ეზიარონ თავიანთი დარგის საერთაშორისო გამოცდილებას, ხოლო კომპანიის თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ლეობენის მოკლევადიანი კურსები და გადამზადების პროგრამები.

RMG strengthens its **international ties with Leoben University in Austria**. This year, the partnership of the parties, which dates back to 2019, has developed and a new Memorandum of Understanding was signed between the company's partner university – GTU and Leoben University.

In 2025, RMG and GTU participated in a working visit to Leoben, where they discussed future educational and research collaborations. With the new partnership established, Georgian students will now have the opportunity to participate in fully Austria-funded exchange programs and gain international exposure in their studies at Leoben University, while RMG's employees will have access to short courses and retrainings at the prestigious institution.











## დიდგორელი

## DIDGORELI

სასკოლო ასაკის მოსწავლეებისთვის კომპანია აგრძელებს **პროექტ „დიდგორელის“** მხარდაჭერას. პროგრამის ფარგლებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები მონაწილეობენ ისტორიის კონკურსში, რომელიც სამი შესარჩევი ტურიდან გამოავლენს სეზონის გამარჯვებულს. პროექტში გამარჯვებულებს არემჯი ექვსთვიან სტიპენდიას გადასცემს. კომპანია პროექტს მე-7 წელია ასპონსორებს.

For school students, the company continues its partnership with the **Didgoreli project.** As part of the program, high-school students participate in a history competition consisting of three qualifying rounds, through which the season's winner is determined. The winners of the project are awarded a six-month scholarship from RMG. RMG supports Didgoreli project for the 7th consecutive year.












# გარემოს დაცვა

# ENVIRONMENTAL PROTECTION



არემჯი მიჰყვება გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელ ნაბიჯებს და ეტაპობრივად ნერგავს გარემოს ხელშემწყობ ინიციატივებს. 2025 წელს კომპანიამ სხვადასხვა გარემოსდაცვითი პროექტი განახორციელა.

RMG FOLLOWS THE STEPS NECESSARY FOR ENVIRONMENTAL PROTECTION AND SUSTAINABLE DEVELOPMENT AND GRADUALLY IMPLEMENTS ENVIRONMENTALLY RESPONSIBLE INITIATIVES. IN 2025, THE COMPANY CARRIED OUT VARIOUS ENVIRONMENTAL PROJECTS.



წყალდაცვითი ღონისძიებების ფარგლებში კომპანიამ განახორციელა მდინარე კაზრეთულას დამცავი მილის რეაბილიტაცია და წარმატებით დაასრულა ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა „არემჯი აურამაინის“ ტერიტორიაზე.

ჰაერის დაცვის ფარგლებში საწარმოს სამსხვრევ უბანზე დამონტაჟდა ახალი წყლის გამშხეფი სისტემა, რომელიც უფრო ეფექტიანად აკავებს მადნის მსხვრევის შედეგად ნივთიერებების გამოფრქვევას.

ტყის აღდგენის ღონისძიებების ფარგლებში არემჯი აგრძელებს ფუჭი ქანების სანაყაროს რეკულტივაციას, მცენარეული საფარის აღდგენის მიზნით და კომპანიის ოპერირების საკომპენსაციო ღონისძიების ფარგლებში კი, 2025 წელს ხის დარგვის რამდენიმე კამპანიაც ჩატარდა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ხატისოფლის საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე არემჯიმ, საკომპენსაციო ღონისძიების ფარგლებში, პირველ ეტაპზე კავკასიური ფიჭვისა და ნეკერჩხლის 9500-მდე ნერგი დარგო. ღონისძიების მონაწილეებმა სოფელში ტყის გაშენების სიმბოლური აღნიშვნისთვის ნერგებს სახელობითი ბარათები მიამაგრეს.

ტყის გაშენების ღონისძიება ტარდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტშიც, სადაც კომპანიამ 2025 წელს სხვადასხვა ხის 18 900 ნერგი დარგო.

Within the water protection measures, the company rehabilitated the protective capsule pipeline of the Kazretula River and successfully completed the installation of a biological wastewater treatment facility at RMG Auramine.

As part of air protection efforts, a new water spraying system was installed at the company’s crushing plant, significantly improving the suppression of particulate emissions generated during ore crushing.

Regarding forest restoration activities, the company continues the reclamation of waste rock dumps to restore vegetation cover. Additionally, as part of the company’s operational compensation measures, several tree-planting activities were held in 2025.

In terms of compensatory measures, during the first phase, the company planted around 9500 Caucasian pine and maple saplings on land of the State Forest Fund in the village of Khatisopeli, Bolnisi Municipality. Participants of the event attached name tags to the saplings as a symbolic gesture marking the establishment of a forest in the village.

Forest establishment activities were also carried out in Tetritskaro Municipality, where the company planted 18,900 saplings of various tree species in 2025.







ᲮᲐᲢᲘᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲢᲧᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲨᲔᲜᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲝ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲔᲛᲯᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲩᲐᲔᲠᲗᲜᲔᲜ

















კამპანია „მე დავრგე ხე“ საზოგადოებრივი გაერთიანების „მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ ინიციატივით განხორციელდა და მასში არემჯის თანამშრომლებთან და ორგანიზაციის წევრებთან ერთად დაბა კაზრეთისა და დმანისის სკოლების მაღალი კლასის მოსწავლეებიც ჩაერთნენ. გამწვანების აქციის ფარგლებში, არემჯის სანაყაროებზე, სადაც განსაკუთრებულად რთული ნიადაგია, 1000-მდე ხის ნერგი დაირგო, რომელთა შემდგომი მოვლის სამუშაოებს კომპანია ატარებს.

არემჯი წლებია ახორციელებს საწარმოო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების მართვას, 2025 წელს კი კომპანიის ოფისებშიც დაინერგა ინიციატივები თანამშრომლების წასახალისებლად, გაითავისონ ეკოლოგიურად სწორი ქცევები და იზრუნონ გარემოზე.

ქაღალდის შესაგროვებელ „მწვანე ყუთებს“ 2025 წელს, „ტენესთან“ თანამშრომლობით, დაემატა კონტეინერები ელემენტებისა და გამოყენებული პლასტმასის ჭიქებისთვის, ოფისებში გამოყენებული პლასტმასის ბოთლების შესაგროვებლად და გადასამუშავებლად კი სპეციალური აპარატი განთავსდა. ამ ინიციატივის შედეგად კომპანიამ 3 თვეში  40 000-მდე ბოთლი შეაგროვა.

The campaign I Planted a Tree, was implemented on the initiative of the public organization Movement for Cultural Heritage and involved company employees, members of the organization, as well as high-school students from the towns of Kazreti and Dmanisi. As part of the greening activities, a total of 1,000 tree saplings were planted on RMG's tailings, where soil conditions are particularly challenging. The company provides ongoing post-planting care and maintenance for the saplings.

For many years, RMG has implemented waste management practices across its production operations. In 2025, the company also introduced new initiatives in its offices, aimed at encouraging employees to adopt environmentally responsible behavior, and care for the environment.

In addition to paper collection green boxes, RMG, in cooperation with Tene, introduced waste management solutions such as containers for collecting batteries and used plastic cups. To reduce plastic bottle consumption in offices and ensure proper recycling, bottle return machines were installed. As a result, nearly 40,000 plastic bottles were collected for recycling within a three-month period.







## კამპანია „მე დავრგე ხე“ – გამწვანების აქცია ფუჭი ქანების სანაყაროებზე











# თანამშრომლების მხარდაჭერა

# EMPLOYEE SUPPORT




თანამშრომლებისთვის ღირსეული სამუშაო გარემოს შესანარჩუნებლად და განვითარებისთვის არემჯი მუშაობს ისეთი სტანდარტებით, რომლებიც ადამიანების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს.

თანამშრომელთა შრომის აღიარებისა და დაფასებისთვის კი სხვადასხვა შიდა წამახალისებელ ინიციატივას ახორციელებს.

TO FOSTER AND CONTINUOUSLY IMPROVE A POSITIVE AND RESPECTFUL WORKING ENVIRONMENT, RMG OPERATES IN ACCORDANCE WITH STANDARDS DESIGNED TO SAFEGUARD THE HEALTH AND SAFETY OF ITS EMPLOYEES.

THE COMPANY ALSO IMPLEMENTS INTERNAL INCENTIVE PROGRAMS TO RECOGNIZE AND REWARD EMPLOYEES FOR THEIR WORK AND CONTRIBUTIONS.

ᲓᲦᲔᲛᲓᲔ, ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲗ 3000-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲐ




„დაისვენე საქართველოში“ – არემჯის საზაფხულო პროექტით 2025 წელს კომპანიის 82-მა თანამშრომელმა და მათი ოჯახის წევრებმა ისარგებლეს. 2019 წელს დაწყებული ინიციატივის ფარგლებში კომპანიის თანამშრომლები ზაფხულის დღეებს შავი ზღვის სანაპიროზე თავიანთ ოჯახებთან ერთად ატარებენ. პროექტის მეშვეობით არემჯი მხარს უჭერს მრავალშვილიან ოჯახებს ან/და ოჯახებს, რომელთაც განსაკუთრებული საჭიროების მქონე არასრულწლოვანები ჰყავთ.

2019 წლიდან დღემდე პროექტში 680-ზე მეტი თანამშრომელი ჩაერთო და მან 3000-ზე მეტი ადამიანი მოიცვა.

Spend Your Summer in Georgia – in 2025, RMG's 82 employees and their family members benefited from the company's summer project. Launched in 2019, the initiative allows company employees to spend their summer days on the Black Sea coast with their families.

Through this project, the company supports large families and/or families with children who have special needs. Since 2019, more than 680 employees have participated in the project, benefiting over 3,000 people in total.


















ტრადიციულად, ქალთა საერთაშორისო დღეს კომპანია თანამშრომლებს სიმბოლური საჩუქრებით ულოცავს. ამ დღესასწაულისთვის არჩეული საჩუქრები კი, როგორც წესი, აუცილებლად ქალი მეწარმეების მიერ შექმნილი პროდუქტებია.

გაზაფხულის თვეებში კომპანიის საკომუნიკაციო არხებზე სხვადასხვა პროფესიის მქონე ქალი თანამშრომლების ისტორიების შეხვედებით. ამ ინიციატივის მიზანი ფართო საზოგადოებისთვის სამთო მრეწველობაში დასაქმებული ქალების გაცნობა, სხვა ქალთა გაძლიერება და მათი პროფესიული წახალისებაა.

As part of its ongoing tradition, on International Women's Day, the company congratulates its employees with symbolic gifts. The chosen gifts are produced specifically by female entrepreneurs, supporting women-led businesses as part of the holiday tradition.

Throughout the spring, the company's communication channels share stories of female employees working in various professions. This initiative aims to introduce women in the mining industry to a broader audience, empower and inspire other women, and encourage women's professional growth.














## სამთოელის პროფესიული დღე არემჯიში მეექვსე წელია აღინიშნება

წლის ბოლოს, 17 დეკემბერს, არემჯიმ 50 წლის იუბილე და, ტრადიციულად, სამთოელის დღე აღნიშნა. ღონისძიება კაზრეთში სამთო წარმოების 50-წლიანი ისტორიის მნიშვნელოვანი კადრების ჩვენებითა და კომპანიის სტაჟიანი სამთოელების მოგონებებით გაიხსნა. დასასრულს, არემჯის გენერალურმა დირექტორმა ჯონი შუბითიძემ 2024 და 2025 წლების გამორჩეული სამთოელები დააჯილდოვა.

წლევანდელ ღონისძიებაზე კომპანიამ წარადგინა სამთოელის „საპატიო ჯილდო“, რომელიც აკადემიკოს ლევან ჯაფარიძეს გადაეცა ქართულ სამთო საქმეში შეტანილი წვლილისათვის. საიუბილეო წლის აღსანიშნავად არემჯიმ მივიწყებული ტრადიციაც აღადგინა და შექმნა სამთოელის კოსტიუმი, რომლის დიზაინი ანუკა ქებურიას ეკუთვნის; ასევე, წარადგინა სამთო საქმისადმი მიძღვნილი მონუმენტის პროექტი, რომელსაც მოქანდაკე ვალერი ჯიქია შექმნის.

End of the year, on December 17, RMG celebrated the 50th anniversary since the establishment of mining production in Kazreti district and Miners' Day at the National Youth Palace. The event reflected on the rich 50-year history of the Kazreti mining enterprise, with long-serving employees sharing memories. General Director, Joni Shubitidze, awarded outstanding miners of 2024 and 2025, acknowledging their vital contributions.

The event also introduced the Distinguished Miner Award, presented to Academician Levan Japaridze for his significant impact on the Georgian mining industry. RMG also announced two exciting projects: the revival of the miner's costume tradition, designed by Anuka Keburia, and a monument honoring the mining profession, designed by sculptor Valeri Jikia.












## 2025 წელს „წლის სამთოელის“ ჯილდო 5 ადამიანს გადაეცა





# მდგრადობის ინიციატივები



# SUSTAINABILITY INITIATIVES

2025 წელს არემჯი ჩაერთო რამდენიმე ინიციატივაში, რომელიც კომპანიის მიერ მდგრადობის მიმართულებით დასახული მიზნების მიღწევას ემსახურება. გასულ წელს კომპანიამ მიიღო მდგრადობის პოლიტიკის დოკუმენტი და განაგრძობს ძალისხმევას მეტი განვითარებისთვის. წელს კომპანიის თანამშრომლები მონაწილეობდნენ მდგრადობის ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში და მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღეს განსხვავებული პერსპექტივებიდან.

IN 2025, RMG CONTINUED ITS JOURNEY TOWARD BECOMING A MORE KNOWLEDGEABLE, AND FUTURE-ORIENTED COMPANY - ONE THAT LEARNS CONTINUOUSLY AND PUTS THIS LEARNING INTO ACTION. LAST YEAR COMPANY ADOPTED THE SUSTAINABILITY POLICY DOCUMENT, AND IT DILIGENTLY CONTINUES THE JOURNEY TOWARDS BECOMING A MORE SUSTAINABLE MINING COMPANY. THIS YEAR COMPANY EMPLOYEES FROM DIFFERENT DEPARTMENTS PARTICIPATED IN LOCAL AND INTERNATIONAL SUSTAINABILITY INITIATIVES TO BROADEN KNOWLEDGE WITH DIVERSE PERSPECTIVES AND BRING VALUABLE EXPERTISE BACK HOME.

## არემჯის წარმომად-გენლები სამუშაო ვიზიტით ლეობენის უნივერსი-ტეტში იმყო-ფებოდნენ




ლეობენის სამთო უნივერსიტეტში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში არემჯის და სტუ-ის წარმომადგენლებმა ავსტრიის ერცბერგის მოქმედი საბადო და გამამდიდრებელი ქარხანა მოინახულეს. ევროპული ქვეყნის მაგალითზე საბადოს ინფრასტრუქტურის, ლაბორატორიების, სამუშაო პროცესების, ეკოლოგიური მიმართულებისა და ოპერირების მოდელის გაცნობა არემჯის მდგრადი პრაქტიკების საუკეთესო გამოცდილების მიღებაში დაეხმარება.

გაზაფხულზე არემჯის გარემოსდაცვითი სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ვენაში (ავსტრია), სადაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ კოლეგებთან ერთად მონაწილეობდნენ კლიმატის ტრანზიციის გეგმების შესამუშავებლად დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაში. პრაქტიკულ დისკუსიებში მონაწილეობის შედეგად კომპანიის გუნდმა გაიმყარა ხედვები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს ადგილობრივად კომპანიის პრაქტიკული ნაბიჯები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გლობალური მიზნების მისაღწევად.

არემჯი აქტიურად ჩაერთო თბილისის მდგრადი განვითარების რეგიონულ ფორუმში. კომპანიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილემ სანდრო დევიძემ ფორუმზე დამსწრე საზოგადოებას არემჯის მიღწევები გააცნო და ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს მდგრადი მომავლისა და ქვეყნის მწვანე ტრანზიციის გეგმებთან დაკავშირებულ განხილვაში.

As part of a working visit to Leoben Mining University (Austria), representatives of RMG and GTU toured the operating Erzberg mine and its enrichment plant. Gaining first-hand insight into the enterprise infrastructure, laboratories, operational processes, environmental practices, and overall operating model from the European context, will equip RMG with the knowledge of best practices and support company's commitment to integrating sustainable practices across its operations.

In spring, RMG's environmental team visited Vienna and joined peers from across Europe to explore practical steps toward credible Climate Transition Plans. By participating in discussions and hands-on workshops, the team returned with renewed insight into how global climate goals can be translated into measurable actions in the company's enterprise.






ბიზნესისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ექვსთვიანი სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ, არემჯის თანამშრომლები გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაზე ლონდონში იმყოფებოდნენ. პროგრამის ფარგლებში გუნდი გაეცნო იმ მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს, რაც ორგანიზაციებში აღნიშნული მიმართულების განვითარებისთვისაა საჭირო.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების 2025 წლის ბოლო ინიციატივის ფარგლებში არემჯის გეოტექნიკური გუნდი ვიზიტით სევილიაში, სამთო მონიტორინგის რეგიონულ სამუშაო შეხვედრაზე იმყოფებოდა. მსოფლიო ექსპერტებთან ერთად კომპანიის სპეციალისტებმა შეისწავლეს მონიტორინგის თანამედროვე ტექნოლოგიები და უსაფრთხოების ახალი გადაწყვეტები, რომლებიც არემჯის საწარმოს ოპერაციული გაუმჯობესების კუთხით დაეხმარება.





RMG played an active role in the Tbilisi Regional Forum for Sustainable Development. Here, RMG's Deputy Head of Environmental Protection Department, Sandro Devidze shared recent environmental milestones and joined national and international experts in shaping fresh ideas for Georgia's sustainable future and the country's green transition.

After completing a six-month training program on Business and Human Rights, RMG employees attended a peer learning workshop in London organized by the United Nations Global Compact Network. As part of the program, the team became familiar with the mechanisms and tools necessary for advancing these rights-related areas within the organization.

Completing the year's learning journey, RMG's geotechnical team travelled to Seville for the Regional Mine Monitoring Workshop. Joining global experts, company's specialists explored innovative monitoring technologies and safety solutions, that will directly contribute to stronger, more efficient operations in company's own facilities.

## არემჯი რესურსებს მდგრადი გან-ვითარების კონკრეტულ, პრიორიტე-ტულ მიზნებზე მიმართავს





# რეგიონის მხარდაჭერა

## COMMUNITY SUPPORT



შერეული ორთაბრძოლები წლიდან წლამდე უფრო მეტ პოპულარობას იძენს ჩვენს რეგიონში. 2025 წელი სასიხარულო ცვლილებების წელი იყო – გვაქვს სრულად აღჭურვილი სავარჯიშო დარბაზი, რომელიც 65 მოსწავლეს აერთიანებს, ჩვენმა მებრძოლებმა კი წლის განმავლობაში გამორჩეულად იასპარეზეს სხვადასხვა ჩემპიონატზე, რითაც ძალიან ვამაყობ. ჩემთვის დიდი მოტივაციაა ისეთი პარტნიორის გვერდში დგომა, როგორიც არემჯია – ჩვენ, ერთობლივად, ბევრ ახალგაზრდას ვუწყობთ ხელს, ჯანმრთელი ცხოვრების წესს მიჰყვეს, რაც ყველა ჯილდოს აღემატება.

ლერი ავალიშვილი
დმანისის შერეული ორთაბრძოლების კლუბ
„არწივის“ დამფუძნებელი, მწვრთნელი






ახალგაზრდების სოციალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით არემჯი მხარში უდგას ქვემო ქართლში არსებულ სხვადასხვა სპორტულ და შემოქმედებით წრეს. კომპანიის მიერ მხარდაჭერილ წრეებში ყოველწლიურად 1000-ზე მეტი ბავშვი და მოზარდი ერთიანდება და უფასოდ მონაწილეობს რეგულარულ ფიზიკურ და საგანმანათლებლო აქტივობებში.

The company continues its commitment to the local community by supporting social development of youth through sports and cultural programs in Kvemo Kartli region. More than 1000 children and adolescents participate in company-supported clubs and circles annually, engaging in regular physical, creative, and educational activities free of charge.



















აღნიშნული მხარდაჭერით არემჯი ზრდის კლასგარეშე აქტივობების ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს ახალგაზრდების ფიზიკურ ჯანმრთელობას, კულტურულ განვითარებასა და ჯანსაღ სოციალურ ინტერაქციას, რაც მათ სრულფასოვან განვითარებას ემსახურება.

With this support RMG offers access to extracurricular opportunities and contributes to the physical well-being, cultural development, and healthy social interaction of the youth, contributing to the overall development of young people.














# გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობა

# CONTRIBUTION TO THE UN'S SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

### ჯანსაღი ცხოვრება და კეთილდღეობა

**ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის**

- ოპერირების რეგიონში სხვადასხვა სახეობის სპორტული კლუბების დაფინანსება
- ახალგაზრდების სპორტში ჩართულობის წახალისება
- პროფესიონალი სპორტსმენებისა და გუნდების მხარდაჭერა

### GOOD HEALTH AND WELL-BEING

**Ensure healthy lives and promote well-being for all at all ages**

- Sponsoring different local sports clubs in the operating area
- Encouraging youth participation in sports
- Supporting professional athletes and sports teams

### ხარისხიანი განათლება

**ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის**

- ადგილობრივ და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან და სამთო-გეოლოგიური დარგის ინსტიტუტებთან თანამშრომლობა
- სტუდენტური და სასტიპენდიო პროგრამები
- ახალგაზრდა მეცნიერებისა და კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერა
- რეგიონის სკოლის მოსწავლეებისთვის არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა

### QUALITY EDUCATION

**Ensure inclusive and equitable quality education and promote lifelong learning opportunities for all**

- Partnering with higher universities locally and abroad, and collaborating with mining and geology field institutes
- Running student and scholarship programs
- Supporting young scientists and research initiatives
- Supporting non-formal education initiatives in the operating region for high-school students

### გენდერული თანასწორობა

**გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება**

- სამთო და გეოლოგიურ სფეროებში დასაქმებულ ქალთა პოპულარიზაცია
- ქალი მეწარმეების მხარდაჭერა შესყიდვების პროცესში
- დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა

### GENDER EQUALITY

**Achieve gender equality and empower all women and girls**

- Promoting women in mining and geology
- Supporting women entrepreneurs in procurement
- Enforcing a zero-discrimination workplace policy

### სუფთა წყალი და სანიტარია

**წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა**

- საწარმოო წყლის ხელახალი გამოყენება დახურულ ციკლში
- თანამედროვე წყლის გამწმენდი სისტემების ოპერირება
- წყლის ხარისხის ყოველდღიური მონიტორინგი

### CLEAN WATER AND SANITATION

**Ensure availability and sustainable management of water and sanitation for all**

- Reusing production water in closed cycles
- Operating advanced water treatment systems
- Daily water quality monitoring

### ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

**სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის**

- უსაფრთხო სამუშაო პირობებისა და სამართლიანი ანაზღაურების უზრუნველყოფა
- რეგიონში დასაქმების შესაძლებლობების შექმნა
- ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერა ეკონომიკური გაძლიერებისთვის

### DECENT WORK AND ECONOMIC GROWTH

**Promote sustained, inclusive and sustainable economic growth, full and productive employment and decent work for all**

- Ensuring safe working conditions and fair wages
- Creating employment opportunities in the region
- Supporting local entrepreneurs for economic development

### მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

**მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა**

- სპილენძის გამამდიდრებელი ფაბრიკის მოდერნიზება
- ინვესტირება საწარმოს ტექნიკური განახლებისთვის
- საწარმოში ეფექტიანობის, უსაფრთხოებისა და მდგრადობის გაუმჯობესება

### INDUSTRY, INNOVATION, TECHNOLOGY AND INFRASTRUCTURE

**Build resilient infrastructure, promote inclusive and sustainable industrialization and foster innovation**

- Modernizing the copper enrichment plant
- Investment in technical upgrades of the enterprise
- Improving efficiency, safety, and sustainability within enterprise

### მდგრადი ქალაქები და დასახლებები

**ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება**

- გზებისა და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსება
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა
- პარტნიორობა მუნიციპალიტეტებთან

### SUSTAINABLE CITIES AND COMMUNITIES

**Make cities and human settlements inclusive, safe, resilient and sustainable**

- Funding road and recreational infrastructure projects
- Restoring cultural heritage monuments
- Partnership with local municipalities

### მდგრადი მოხმარება და წარმოება

**მდგრადი მოხმარებისა და საწარმოო მოდელების უზრუნველყოფა**

- ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემების დანერგვა
- სახიფათო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენცია
- წყლის რესურსების ხელახალი გამოყენება

### RESPONSIBLE CONSUMPTION AND PRODUCTION

**Ensure sustainable consumption and production patterns**

- Implementing efficient waste management systems
- Preventing hazardous waste pollution
- Reusing water to reduce fresh water demand

### კლიმატის მდგრადობის მიღწევა

**კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება**

- საწარმოო ტერიტორიებზე მზის პანელების დამონტაჟება
- პრიორიტეტი ჰიბრიდულ და ელექტრო ავტომანქანებზე
- ადგილობრივ და საერთაშორისო კლიმატურ დისკუსიებში მონაწილეობა

### CLIMATE ACTION

**Take urgent action to combat climate change and its impacts**

- Installing solar panels at production sites
- Prioritizing on hybrid and electric vehicles
- Participating in local and internationally held climate discussions

### დედამიწის ეკოსისტემები

**ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა; ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა; ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება; ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება**

- ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება
- ფუჭი ქანების სანაყაროების რეკულტივაცია
- ახალი ტყეების გაშენება და არსებული ტყეების მოვლა-პატრონობა

### LIFE ON LAND

**Protect, restore and promote sustainable use of terrestrial ecosystems, sustainably manage forests, combat desertification, and halt and reverse land degradation and halt biodiversity loss**

- Implementing anti-erosion measures
- Recultivating waste rock dumps
- Planting new forest areas and maintaining existing forests

### პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

**მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად თანამშრომლობების ჩამოყალიბება და გაძლიერება გლობალურად**

- არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა
- რეგიონულ ორგანიზაციებთან პარტნიორობა
- გამჭვირვალობისა და ჩართულობის ხელშეწყობა

### PARTNERSHIPS FOR THE GOALS

**Strengthen the means of implementation and revitalize the Global Partnership for Sustainable Development**

- Collaborating with NGOs and civil society
- Partnering with regional organizations
- Promoting transparency and stakeholder engagement



www.richmetalsgroup.com